

1938

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# სიბუნებო



№1

140-38v.

1938წ.





# კომუნარი

საბ. აღკვ ცენტრალური კომიტეტისა და  
საბ. მანსახკომის ეკითხვიური შუახალი.

იანვარი 1938 წ.

№ 1

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამოცემა — „კომუნისტი“. რედაქციის მისამართი: ტფილისი, გრძობედოვის ქ. № 34. ტელ.—3—02—61

## შინაარსი

	მ.ბ.
1. შ. თაბუკაშვილი, — იანვრის საღამო . . . . .	1
2. შ. სიმონიშვილი, — ლენინს (ლექსი) . . . . .	2
3. მ. მიქელაძე, — ნაძვის ხის თავგადასავალი . . . . .	3
4. მ. ჭუჩუნიანი, — ნაძვის ხე (ლექსი) . . . . .	6
5. ს. შავედი, — სიმღერა ნაძვის ხეზე (ლექსი) . . . . .	7
6. ნ. ა. ნეკრასოვი, — (წერილი) . . . . .	8
7. ნ. ა. ნეკრასოვი, — მოსწავლე (ლექსი თარგმნა მ. შრეველიშვილმა) . . . . .	9
8. მ. მუსხიშვილი, — შემერღელი ბიჭი (თარგმნა გრ. ტხვედელიძემ) . . . . .	10
9. შ. მარინაშვილი, — ნაპოლეონის და მურად-ბეის ბრძოლა . . . . .	12
10. ვლ. კახიანი, — იქედნე . . . . .	16
11. ლ. მავკალიძე, — გოგონა კოლხიდის ბაღში (ლექსი) გარეკ. მე-3 გვ.	
12. პასუხები „პიონერის“ № 12-ში მოთავსებულ კროსგორდზე გარეკ. მე-3 გვ.	
13. გასართობი, . . . . .	გარეკ. მე-4 გვ.





# იანვრის

# საღამო

ოცდაერთი იანვრის საღამო... პატეფონის დისკო ტრიალებს, და გაისმის მამაკაცის ლაპარაკი რუსულ ენაზე. პიონერი გივი სმენდაა გადაქცეული.

აი, გათავდა ფირფიტა, გაჩერდა პატეფონი. გივის თვალეში ფიქრი ჩამჯდარა.

— ნეტავ მართლა ასეთი ხმა ჰქონდა ლენინს? ფიქრობს გივი.

ბევრი, ბევრი რამ წაუკითხავს და გაუგონია გივის ლენინის შესახებ, იცის მისი ბავშვობა, სიჭაბუკე, იცნობს მშრომელებისათვის თავგანწირულად მებრძოლი გენიოსის ცხოვრებას...

დაფიქრებულია გივი და მის გონებაში ერთი სურათი ცვლის მეორეს...

\* \* \*

აი ხუთი წლის ბიჭუნა ზის დედის გვერდით, წიგნს ჩაჰკირკიტებს, ასოებს თითს აყოლებს — კითხვას სწავლობს. ნიჭიერია პატარა ბუთხუზი, ადვილად ითვისებს ანბანს. დედას თვალეში უბრწყინავს სიამისაგან.

მალე შეისწავლა ბიჭუნამ ანბანი, დაავლებდა ხელს წიგნს, მიჯდებოდა თავისთვის სადმე და გატაცებით კითხულობდა. შვიდი-რვა წლის რომ გახდა, ვალოდიას ძალიან შეუყვარდა ლექსების დეკლამაცია.

და გივის თვალწინ წარმოუდგა ქერა ბავშვი, რომელიც დგას მაგიდასთან და მკაფიოდ, ხმამაღლა ამბობს ლექსს:

Богачу дур-р-аку  
И с казной не спится,  
Бедняк гол, как сокол,  
Поет, веселится.

გატაცებით ამბობს ლექსს პატარა, და მას გულდასმით უსმენენ უფროსები.

მაგრამ არა მარტო წიგნების კითხვა უყვარდა მას — აურზაურიანი მასობრივი თამაშობაც ძალიან იტაცებდა. აბა ვინ გაასწრებსო — და ქარივით მიქროდა ვალოდია, ქშენით, ქაქანით მიიჭრებოდა დანიშნულ ადგილას... ხან კიდევ ხეებს მოველებოდა კენწეროზე, მარდად ცოცავდა, შორიდან ოქროს ბურთივით მოჩანდა ამწვანებულ ხის ტოტეში...

აი, მდინარე სვიაგა. ბავშვები ჟრიაშულობენ, ერთმანეთს ეჯიბრებიან ცურვაში, ყვინთვაში, ხან კი გატაცებით იჭერენ თევზებს. რარიგ უბრწყინავს ვალოდიას თვალეში, როდესაც სხმარტალა ვერცხლისფერ თევზს იგდებს ხელში, და მერე კისკის-ხარხარით, სიამაყით სავსენი მიდიან ბავშვები შინისაკენ, მიაქვთ ნადავლი, მიჰყვებიან თავის მეთაურს და გულითად ამხანაგს — ტანმორჩილა ქერა ბიჭუნას.

აი, ცხრა წლის გახდა ის და კიდევ შეალოჯიმი-ნაზიის კარი...

არ ყოფილა შემთხვევა, რომ გაკვეთილი არ სკოდნოდეს, რომ დავალება ზუსტად არ ჰქონოდეს შესრულებული. ხუთიანებს გარდა სხვა ნიშანი არასოდეს არ მიუღია, საკლასო თუ საშინაო სამუშაოებში ყოველთვის მისი ნაშრომი იყო საუკეთესო. მაგრამ ამაყობა არ სჩვევია მას.

— ვალოდია, სად მიდიხარ ამ უთენია, რა დროს სასწავლებელში წასვლაა? — ეუბნება დედა ქერა ბუთხუზს, რომელიც სასწრაფოდ იცვამს.

— დედა, ზოგიერთ ჩემ ამხანაგს უჭირს ამოცანების გამოყვანა, ცოდვა არიან. მე დავპირდი — ადრე მოდით და ავიხსნით მეთქი.

და გარბის, გარბის ვალოდია, რომ გამოასწოროს ჩამორჩენილი ამხანაგები, დაეხმაროს ბერძნულ თუ ლათინურ ენაში, ანგაროში...


აი, ბრუნდება იგი სკოლიდან. ჩაიარა მამის კაბინეტთან და მიაძახა:

— ბერძნულში — ხუთი, გერმანულში — ხუთი. დედამ და მამამ ერთმანეთს გადახედეს ღიმილით. მეორე დღეს:

— ლათინურში — ხუთი, ალგებრაში — ხუთი... და ასე ყოველთვის...

გაკვეთილების მომზადებისას ვალოდია არასოდეს არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ სახელმძღვანელოებით — ის წავიდოდა ბიბლიოთეკაში და შეარჩევდა ისეთ წიგნებს, რომლებშიც უფრო ღრმად იყო ესა თუ ის საკითხი გაშუქებული, ვიდრე სახელმძღვანელოში... შესანიშნავად სწავლობდა, რის გამოც გიმნაზიის დამთავრებისას ოქროს მედალიც კი მიიღო.

აი, ვალოდია უკვე სტუდენტია, კახანის უნივერსიტეტში სწავლობს. ის ანერვიულებულია, მეფის მთავრობისადმი ზიზლითაა აღსავსე. მისი რევოლუციური განწყობილება კიდევ უფრო გააღრმავა და გაამტკიცა ძმის დაღუპვამ. თვალწინ უდგას ვალოდიას საყვარელი ძმა ალექსანდრე, რომელიც მონაწილეობას იღებდა მეფეზე თავდასხმაში, რისთვისაც სიკვდილით დასაჯეს...



3380



ვლადიმირ სხვა გზის ძებნა დაიწყო საზოგადოებრივ წესწესობილების დასამზობად, დაჩაგრული მასების გასათავისუფლებლად. ის გრძობდა, რომ მიზანს ვერ მიაღწევდნენ თითო-ორი მებრძოლი. გრძობდა, რომ საჭირო იყო მთელი მასების აჯანყება მხაგრელების წინააღმდეგ...

დიდხანს როდი დასცალდა კახანის უნივერსიტეტში ყოფნა ვლადიმირ ულიანოვს—სტუდენტების რევოლუციურ კრებაზე მონაწილეობისათვის გამოირიცხეს უნივერსიტეტიდან და სოფელ კოკუშკინოში გადაასახლეს...

და დაიწყო მასების დარაზმებისათვის, მხაგრელების დამხობისათვის ბრძოლის გზა.

ციხეები... გადასახლება... ტანჯვა-წამება...

მაგრამ ფრთები ეჭრდებოდა და უმაგრდებოდა

„მთის არწივს“, როგორც უწოდა ლენინი ხს დიდმა სტალინმა...

...და ავუგუნდა ოქტომბერი... ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით დაემხო მხაგრელების ბატონობა და თავისუფლების ბრწყინვალე მზემ დაიწყო კაშკაში...

შორს გაიტაცა გივი ფიქრებმა... მერე აიღო ფირფიტა და მეორე გვერდით დადვა. დატრიალდა დისკო, და გაისმა ხმა:

— Что такое Советская власть? В чем заключается сущность этой новой власти?

ლაპარაკობდა დიდი ლენინი...

გივი განაბული უგდებდა ყურს.

ოცდაერთი იანვრის საღამო იყო...

# ლ ე ნ ი ნ ს


მზემ როდის იცის სიკვდილი,  
ან მიწამ გარდაცვალება,  
ან როდის კვდება ბუნება,  
ლურჯკაბა, ცისფერთვალეა!

შენამც ეგრე ხარ, ბელადო,  
არც შენ ითქმები მკვდარადა,  
შენ ხალხისა ხარ, და ხალხიც  
გებზევა ირგვლივ ჯარადა.

შენ უკვდავი ხარ მარად ჟამს,  
ვიდრე ქვეყანა არსებობს,  
შენი მოძღვრება არასდროს  
არ მოიკიდებს ჟანგს და ობს.

შენი სახელიც მზე არის  
და სიხარულის მომგვრელი,  
პატივს გცემს, ერთი კაცივით,  
მსოფლიოს ყველა მშრომელი.

შ. სიმონიშვილი





# ნაკვის ხის თავბადასავადი

ეს ტყე სოფლის განაპირად იდგა. ერთის მხრივ კოლმეურნეობის ყანას გაცქეროდა, მეორეს მხრივ მთების ლურჯ არშისას. სწორედ იმ მთებიდან ამოყოფდა ხოლმე მზე თავს ყოველ დილით და ისეთი გაცხელებული თვალებით შეხედავდა ხეებს, თითქოს ეკითხებოდა: „რაო, თქვენ ცოცხლები ხართ? არ დახოცილხართ უჩემოდ?“ მაშინ კოხტა არყის ხე, რომელიც თეთრკაბიან, გასაქცევად მომზადებულ გოგონას ჰგავდა, აიქნევედა მშვენიერ ქოჩორს, კაბას გაისწორებდა და გვერდით მდგარ ძეწწას მიუბრუნდებოდა:

— დილა მშვიდობისა, დაიკო; რას დაგიშვია მკლავები? ნუთუ კიდევ სტირი? რით არ მოგწყინდა ამდენი ტირილი?

ძეწწა თავს სევდიანად დააკანტურებდა და დაიშრიალებდა.

— მე არ ვტირი; რა ჩემი ბრალია, რომ ჩემი ტოტები დაბლა იხედება?

არყის ხეს ხნიერი წიფელი შეუტევდა:

— რას ჩასცივებხარ ამ საცოდავ ძეწწას, მაშ სულ შენსავით ხომ არ იქნება აცეტებული?

ლაპარაკში ჰადარი ჩაერეოდა:

— ეი, შენ, დეიდა წიფელო, ვინ არის აცეტებული? ჩემ კოხტა არყის ხეს ნუ აწყენებთ, თორემ...

აქ ვერხვი აშრიალდებოდა, ყველა ფოთოლს ააკანკალებდა და მოჰყვებოდა მუდარას:

— გეთაყვათ, ნუ ჩხუბობთ, გეთაყვათ, ნუ მაშინებთ, უმიხილავ გული მიკანკალებს!

მალალი, მხარგაშლილი მუხა დინჯად დახედავდა მოკამათე ხეებს და ბოხის ხმით წაილუღუნებდა:

— რა დროს კამათია! ის არა სჯობს ნამით თავპირი დაიბანოთ და კარგად დანაყრდეთ იმ წვენით, რომელსაც მიწა გიგზავნიო?

მუხას ყველანი უჯერებდნენ, ამიტომ სწრაფად დაშოშმინდებოდნენ და თავიანთ საქმეს შეუდგებოდნენ. მერე, როცა გაზაფხულის სიო დაუბერავდა, ხეები ტკბილ, შრიალა საუბარს გააბამდნენ.

არავის არ შეუშინებია, როგორ წამოიზარდა პატარა ნაძვი. ხეებს უკვირდათ, საიდან მოვიდაო ეს უშნო და ულაზათო ხე? გაწეწილი რამ იყო, თმააქოჩრილი, ფოთლების მაგივრად ნემსები ეკიდა. ტოტები გაეფარჩხა და ჩუმად იდგა, სრულებით არ შრიალდებდა.

— გენაცვათ, ეს რა უცნაური რამ არის!— კრიკინებდა წიფელი.

არყი იცინოდა.

— ხა-ხა-ხა! შეხეთ, ჯოჯო არ არი, ნამდვილი ჯოჯო!

— ეი, შენ!— ჩამოსძახა ერთხელ ჰადარმა.— რა ჯურისა ხარ? ვინ დაგპატიჟა, აქ რომ მოხვედი?

ნაძვს შეეშინდა, მოიბუზა და ხმას არ იღებდა.

— მუნჯიც ყოფილა!— განაცხადა არყმა და კაბა გაისწორა.— თქვენმა მზემ, ძალიან სახარბიელო მეზობელი შევიძინეთ.

— ნეტა რის მაქნისია?— იძახდა პანტა.— ნაყოფი მაგას არ ასხია და შრიალით ეგ არ შრიალებს!

— დაანებეთ თავი,— სევდიანად დაიშრიალა ძეწწამ,— ცოდოა, ნუ დასცინით.

— გეთაყვათ, ნუ ხმაურობთ, გეთაყვათ, ნუ ხმაურობთ!— აწუწუნდა ვერხვი.

ნაძვი სულგანაბული ისმენდა ხეების მითქმამოთქმას. მის ფოთლებს შრიალი არ შეეძლოთ, ამიტომ ის მართლაც მუნჯსა ჰგავდა.

გალიოდა დღეები. ახალი სალაპარაკო გაუჩნდათ. დილით ისინი ერთმანეთს აღარ ეკამათებოდნენ, ყველანი ათვალწუნებულ ნაძვს უყურებდნენ და მასზე ჭორაობდნენ.

— მშვენიერო ნაძვო, თუ შეიძლება, მომიჩრდილეთ თქვენი მშვენიერი ფოთლებით!— დაცინვით ეუბნებოდა პანტა.

— პატივცემულო ნაძვო, გთხოვთ თქვენი მრავალრიცხოვანი ნემსებიდან ერთი მაჩუქოთ, კაბის გაკერვა მიწადა, — ებრანჭებოდა არყი.

— ძვირფასო ნაძვო, თუ შეიძლება, თმა გადაივარცხნეთ, სავარცხელს ოფოფი გათხოვებთ, — დასცინოდა წიფელი.

სხვა ხეები სიცილით იხოცებოდნენ. მხოლოდ ძეწწა იქნევედა თავს სევდიანად და ვერხვი შეშინებული იხვეწებოდა:

— გეთაყვა, ნუ ხმაურობთ! გეთაყვა, ნუ მაშინებთ. ნაძვს გული უკვდებოდა.

— რად ვარ ასეთი მახინჯი?— ფიქრობდა ის, — რატომ არ მაქვს ისეთი ფოთლები, როგორც წიფელს! რატომ პანტასავით ნაყოფს არ ვისხამ? რატომ ჰადარივით არ ვშრიალებ?

გაიარა ერთმა გაზაფხულმა, მეორემ, მესამემ. დადგა მეოთხე ზაფხული. ახლა ჩვენი ნაცნობი ნაძვი პატარა, უმწეო, განზე გადახრილ ტოტს კი არა ჰგავდა, ის გაიზარდა, წელში გაიმართა. მან თავისი ნემსა ფოთლები ჩაიმუქა, კალთები გაშალა, ყელი მოიღერა.



სოფლიდან რომ შეგეხედა—ტყე ერთიან ხასხასა მწვანე იყო, და ამ ხასხასა მწვანეზე ერთი მუჭი ხავერდოვანი ლაქა ჩანდა. ეს იყო ჩვენი ნაძვი.

ერთხელ ტყეს პატარა ადამიანები ესტუმრნენ. მათ ცეცხლისფერი ყელსაბამები ეკიდათ ყელზე. ისინი ხმამაღლა იცინოდნენ და მხიარულ სიმღერას არაკრაკებდნენ.

— ჰვი, ბიჭებო, ამ ნაძვს აქ რა უნდა?—დაიძახა ერთმა ბიჭმა.

— ალბათ, იქიდან გადმოსახლდა, ხევეალმა რომ ნაძვინარია, — იხუმრა მეორემ.

— არა, ბიჭო, ალბათ, ქარმა გადმოიტანა თესლი. მე აგრონომმა ამიხსნა, რომაო...

— ტოტოჩინა ნაძვია! — გააწყვეტინა მესამე ბიჭმა, — აი საახალწლოდ....

ამ დროს შორიდან ძახილი გაისმა:

— ილოოო! გივიიი! ბიჭებოოო! წამოდით, წამოდით!

ბავშვები სირბილით მოშორდნენ ტყეს. ნაძვმა ვერ გაიგო, რა მოხდება საახალწლოდ, ან რა არის „ტოტოჩინა“, კარგია თუ ცუდი? „ალბათ, ძალიან ცუდი, — დასკვნა ნაძვმა. — პატარა ადამიანებიც ასე დამცინიან, როგორც ხეები“.

ზაფხული მიიწურა. ტყეს სიყვითლე შეეპარა, დამცინავი ხეები ციებაშეყრილ ადამიანებივით გაყვითლებულიყვნენ და ღლითიღლე ფანტავდნენ თავის ლამაზ სამოსელს. მხოლოდ ჩვენი ნაძვი იღვა ზურმუხტისფერ ხავერდის კაბაში გამოწყობილი.

— ეს უბედური არაფრით რომ არ ჰგავს პატროსან ხეებს! — ბრაზიანად ამბობდა წიფელი. — ეს მეოთხე შემოდგომა დადვა, რაც ეგ აქ არის, და აბა

თუ აინუნში ჩაივდო, მუდამ ურცხვად წამოკიშულა თავისი მწვანე კაბით!

ძალზე აცივდა. გაშიშვლებული ხეები სიცივეს უჩიოდნენ, დამლამობით კვნესოდნენ, დღმსინათლის მწვანეკაბიან მეზობელზე იყრიდნენ ცხვირს.

ერთ საღამოს ძალზე დათბა. გაფითრებულმა ხეებმა შეება იგრძნეს და ნაძვზე კორაობას უკლეს. მხოლოდ ხანში შესული გამოცდილი წიფელი ბუტბუტებდა:

— თოვლი მოვა, უთუოდ თოვლი მოვა!

თბილი, უვარსკვლავო ღამე იყო. ხავერდისკაბიანი ნაძვი ტკბილად იძინებდა და ფიქრობდა: — ნეტა მალე მოვიდეს თოვლი!

მეორე დღეს, როცა ნაძვმა მწვანე თვალები გაახილა, დაინახა, რომ მიწა ფაფუკ საბანში ჩათბუნებულა, მინდვრის გადაღმა მდგარ სახლებსაც იგივე თეთრი საბანი გადაუხურავთ და ძალიან მხიარულად გამოიყურებიან. მალლიდან თეთრი ფანტელი ცვივა. ფიფქი თეთრ პეპლებივით დაფარუტებს ჰაერში, ირევა, ერთმანეთს დასდევს და წყნარად ეშვება მიწაზე. გამჭვირვალე, თეთრი დილაა! ნაძვმა ხარბად ამოისუნთქა. თოვლი! — გაიფიქრა მან და მეზობელ ხეებს გადახედა. იმათი გაშიშვლებული, გაფიჩხული ტოტებიც თოვლს დაეფარა. ხეები უძრავად იდგნენ და ძალიან უწყინრად გამოიყურებოდნენ. ნაძვს მოეწონა მეზობლები, ამოიოხრა და გაიფიქრა:

— რა ლამაზად გამოიყურებიან! მე კი, ალბათ, კიდევ უფრო დამაუშნოვა თოვლმა.

ასე ფიქრობდა ნაძვი. ნამდვილად კი სულ სხვა იყო. მის ხავერდოვან ქათიბს ძალიან შევნოდა თოვ-







ლი. მკლავებივით გაშლილ ტოტებს და მწვანე კალთებს თეთრი არშია მოვლებოდა. ოდნავ დახრილ კენწეროზე ფაფუკი ქუდი ეხურა. შორიდან რომ შეგეხედათ, იტყოდით, ეს მორთული და მხიარული ხე ახლა კალთებს აიკეცავს და ცეკვას დაიწყებსო.

თოვლიან მინდორზე მარხილი გამოჩნდა. მარხილი მსუბუქად მოსრიალებდა თოვლზე. შიგ ორი ადამიანი იჯდა—ერთი წითელყელსახვევიანი ბიჭი იყო, მეორე—მამამისი. როცა ნაძვის ხეს მიუახლოვდნენ, მამამ გაიცინა და ბიჭს უთხრა:

—ილო, შეხე, შენი ნაძვი როგორ მორთულა!

— უჰ, შენი ჭირიმე, რა ლამაზი ხარ!—დაიძახა ილომ და მარხილიდან ისკუპა.

ნაძვს გაუკვირდა. ლამაზი? ნეტავ ვიზე ამბობს?

ბებერი დაფიქრება აღარ აცალეს, მარხილიდან მამა გადმოვიდა, ხელში ნაჯახი ეჭირა.

—დავილუბე, —გაიფიქრა ნაძვმა, —მომპირიან და წამილებენ ისე, როგორც ბებერ თხმელას უყვეს ამასწინათ. სულ ნაკუნაკუნად აჩეხეს საწყალი!

ეს გაიფიქრა თუ არა, ტანზე ნაჯახი მოხვდა.

— ვაი, —დაიკვნესა ნაძვმა.

— ნუ გეშინია, ჩემო ლამაზო, —ამბობდა ილო, ისეთ ადვილს წაგილო, რომა...

ნაძვის ხეს გული შეუღონდა. აღარ ახსოვს, როგორ დაეცა მიწაზე, როგორ მოაცილეს თოვლის ნაბადი და მარხილზე ფრთხილად დასდეს. თავით ილო დაუჯდა, მამა ფეხით მისდევდა მარხილს. დიდხანს მისრიალებდა მარხილი, ეყენები ქლარუნებდნენ: ძინ-ძინ, ძინ-ძინ!

უცებ მარხილი შეჩერდა. ნაძვი უცნაურმა ყრია-მულმა გამოაფხიხლა. როცა თვალი გაახილა, თავი კიბეზე დაინახა. ორ კაცს ფრთხილად მიჰქონდა ის, გარს ბავშვები ეხვეოდნენ, იყო ყიფინი და ჟივილ-ხივილი.

—ნაძვი მოიტანეს, ნაძვი!—ხმამალლა ყვიროდა ვილაც ქერათმიანი და წითელყელსახვევიანი ბიჭი.

— მოვიდა, მოვიდა, ნაძვის ხე მოვიდა!—იძახოდნენ სხვები. ერთი ლოყაწითელი გოგონა ნაძვს ასკინკილა მოსდევდა კიბეზე. დაეწია, ქოჩორა კენ-

წეროზე პატარა ხელი დაუსვა და სიყვარულით ატიკტიკდა:

— ნაძვო, ნაძვო, ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო, რომ იცოდე, რარვ მიყვარხარ!

— ია, ნუ გვიწოლი, მოგვეცალე!—დაუყვირა ილომ გოგონას.

— ნელა ამოიტანეთ, ნელა, ტოტები არ დაუზიანოთ, —იძახოდა ალეგვებელი, მოფუსფუსე ქალი და ნაძვს გარს უვლიდა.

— რა ვქნა, ნუთუ მე მეკუთვნის ეს მზრუნველობა და სიყვარული?—ფიქრობდა გაოცებული ნაძვი. —ეგებ სხვა ვინმე ვგონივარ ამ ხალხს?

ნაძვი ერთ დიდ დარბაზში შეიტანეს და მაგიდაზე ამართეს. ერთხელ კიდევ იგრძნო მწვავე ტკივილი, როცა ფეხში ლურსმანი გაუყარეს და იატაკზე მიაჭედეს. ამის შემდეგ კი რალაც უცნაური ამბები დატრიალდა. ის მოფუსფუსე ქალი ახლა აქ ტრიალებდა, ნაძვის ხეს რალაც ბრჭყვიალა საგნებით რთავდა, ტოტებზე ლამაზ ყუთებს, ვარსკვლავებს და სანთლებს კიდებდა. მას ორი თუ სამი ბავშვი ეხმარებოდა.

— მასწავლებელო, თვითმფრინავი სად დაგვიღოთ?

— მასწავლებელო, ეს სანთლები ზემო ტოტებზე გაამაგრეთ, მე ვერ შევწვდები.

— მასწავლებელო, მძივები, მძივები არ დაგავიწყდეთ!

— ეს სად დაგვიღო? ამას რა ვუყო? ეს სად წავილო?—ისმის შეკითხვები, და მასწავლებელი ყველას და ყველაფერზე პასუხს აძლევს.

გარედან გუგუნნი და ყრიამული ისმის. დაკეტილ კარს ვილაცები აწვებიან.

— მასწავლებელო, შემოვუშვათ?—სიცილით ეკითხება დარბაზში მყოფი ერთერთი ბავშვი.

— არა, არა, ჯერ მორთვა გავათავოთ!

კიდევ ცოტა—და გაიღო დარბაზის კარი. გრილითა და ყრიამულით შემოცვივდნენ ბავშვები.

— სალამი ნაძვის ხეს!—დაიძახა პატარა იამ.

— სა-ლა-მი!—იგრიალეს ბავშვებმა.





მოციმციმე, მოლაპლაპე, მორთული და თვალწარმტაცი.

— ნუთუ ეს მე ვარ?—დაიყვირა ნაძვმა, მაგრამ მისი ხმა არავის გაუგონია.

იჭექა მუსიკამ. მხიარული მარშის ხმაზე ბავშვებმა ხელი ჩაჰკიდეს ერთმანეთს და ნაძვის გარშემო ფერხული გააბეს.

როცა მუსიკა გაჩუმდა, ბავშვებმა წკრიალა ხმებით სიმღერა მორთეს:

ნაძვის ხევ, ლამაზო,  
 ნაძვის ხევ, მალალო,  
 ყელსაც რომ კეკლუცად იღერებ!  
 საჩუქრებს დაგკიდებთ,  
 ხელიხელს ჩავკიდებთ,  
 ვიმღერებთ მხიარულ სიმღერებს!  
 ნაძვის ხევ, ლამაზო,  
 შეხედე, შენს ირგვლივ  
 რამდენი მცინარი სახეა!  
 მადლობა დიდ **სტალინს**,  
 რომ ჩვენი ბავშვობა  
 ასეთი მზიანი, ლალია!

ბედნიერი ნაძვი გაოცებით და აღტაცებით დასკქროდა მის გარშემო მოცეკვავე ბავშვებს.

ნაძვი შუა დარბაზში დგას უამრავი სანთლით გაკაშკაშებული, გეგონებათ ტოტზე მზე ამოსდისო. გარდიგარდმო პრიალა მძივები აქვს გადახლართული. ქოჩორა კენწეროს ალისფრად მოლაპლაპე ვარსკვლავი უმშვენებს, ზემოდან ხელოვნური თოვლი აყრია. ნაძვი დგას განაზებული იმ მორთულ დარბაზში, მოყრიაშულე ბავშვებს შორის, და ვერ დაუჯერებია თავისი ბედნიერება. უცებ მასთან იამ მიიბინა, ხელი წინ გაიშვირა და თქვა:

— ჩემო ლამაზო, ჩემო კარგო, ჩაიხედე სარკეში, რა მშვენიერი ხარ!

ნაძვმა იქეთ მიიხედა, საითაც გოგონა უთითებდა, და გაოცდა: სარკეში მზეთუნახავი ხე დგას,



## გიოგბი ქაჩიშვილი

# ნ ა ძ ვ ი ს ხ ე

ნაძვის ტოტებს ისე მოსაგს ბამბა,  
 თითქოს მართლა დარხეოდეს თოვლი,  
 თითქოს ბაღებს მოუთხრობდეს ამბავს,  
 ისე იჭერს თავს ნებიერ მოვლით.

რას ინატრებთ, რას, რომ აქ არ ნახოთ,  
 რა ხილი გსურთ, ან რა გასართობი;  
 მოდით ახლოს,  
 ხელი კი არ ახლოთ,  
 მოდით, დასტკბით სიხარულის გრძნობით.

აქ შეგხვდებით თეთრი თოვლის კაცი,  
 სიბერისგან მოღუნული წელში;  
 შვილიშვილი დარჩა თვალწარმტაცი,  
 პიონერი, წითელ დროშით ხელში.

აქ შეგხვდებით ცხოველების დასი,  
 ფრინველების ფრთაგაშლილი გუნდი,  
 ხუთქიმიან ვარსკვლავთა კაშკაშით  
 დგას ნაძვის ხე, როგორც მთა თეთნულდი.

აგერ აგტო... შოფერი ზის შიგნით...  
 ველოსიპედს დასკუბია გოგო,

ბიჭიკო კი, ილღიაში წიგნით,  
 აგერ, ციგით  
 როგორ მიჰქრის, როგორ!

აგერ კოხტა გემი „საქართველო“,  
 ტრაქტორი და მძლავრი კომბაინი;  
 სულ მალა კი ნაძვის წვერ-კენწეროს  
 დასტრიალებს შევარდენი რკინის.

ეს საბჭოთა მფრინავია, ვიცი,  
 დიდ ბელადის დიდ რეისის გმირი,  
 ვინც არქტიკა დაიპყრო სიმტკიცით,  
 ვინც გვიჩვენა საქმე გასაკვირი.

აგერ ჩვენი წითელარმიელიც,  
 რუხ ფარაჯით, თოფით ხელში მდგომი,  
 დიდ სამშობლოს წითელ ზონის მცველი,  
 ლომსაც დასცემს, თუ ატყდება ომი.

რა კარგია და რა მშვენიერი  
 ეს დარბაზი, ბავშვობა და ყველა;  
 ბედნიერი, ტაშით და სიმღერით  
 მოსკოვისკენ ვაშას ვუთვლით ბელადს.





მზე ამოსულა... ბროლის მძივები  
 მწვანე ტოტებზე ელავს, კრიალებს,  
 მზე საახალწლო ოქროს სხივებით  
 ტყეში ნაძვებსაც შეაშრიალებს.

\* \* \*

მზე ამოსულა... ვარდის გულივით  
 აწითლებულა ბურთი მრავალი;  
 ტოტი ეყვნებით მოქარგულია,  
 ძირს კი ბრჭყვიალებს თოვლის საბანი.

\* \* \*

მზე ამოსულა... შუქი ნათელი  
 ოთახში ბრწყინავს სხივთა ციმციმით,  
 ხეს დაჭრეკვევია ბრილიანტები  
 და მხიარული მღერა-სიცილი.

\* \* \*

მზე ამოსულა... მოგვაქვს მხნეობა,  
 ფეთქავს ხალისით გული ავსილი;  
 ეს სიკაშკაშე და ეს შხეობა  
 ცეკვავს ჩვენსავით ფერხულგაშლილი.

\* \* \*

მზე ამოსულა... ბროლის მძივები  
 მწვანე ტოტებზე ელავს, კრიალებს,  
 მზე საახალწლო ოქროს სხივებით  
 ტყეში ნაძვებსაც შეაშრიალებს.







40—50-იანი წლებიდან იწყება ნეკრასოვის ტრატურული მოღვაწეობა. მან პირველ ხანებში საგაზეთო ფელეტონების წერა დაიწყო და იბეჭდებოდა პეტერბურგის პერიოდულ გამოცემებში.

1840 წ. გამოიცა მისი ლექსების პირველი კრებული („Мечты и звуки“).

საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლისთანავე იგი მკიდროდ უახლოვდება მაშინდელი რუსეთის მოწინავე, რევოლუციურად განწყობილ ინტელიგენციას—ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლუბოვს, რომელთა ზეგავლენით იგი ზურგს აქცევს მონარქიას და ხდება გლეხური დემოკრატიის ერთერთი იდეოლოგი.

ძირითადი მოტივი ნეკრასოვის პოეზიისა არის ღრმა სიძულვილი მეფის რეჟიმისადმი, ბატონყმური ურთიერთობისადმი.

ნეკრასოვი ნათლად ხედავდა, რომ ბატონყმობის რკალში მომწყვდეული გლეხობა უსაზღვრო ექსპლოატაციას განიცდიდა. ცხოვრების ყველა მოსახვევში ნეკრასოვს ესმოდა რუსეთის ხალხის უსაზღვრო კვნესა და ტანჯვის მწარე ტკივილები. პოეტი გრძნობდა, რომ მისი სამშობლო ავსებელი იყო ხალხის მწუხარებით.

ნეკრასოვის შემოქმედება გამსჭვალულია რუსეთის მშრომელი ხალხის უსაზღვრო სიყვარულით. მთელ რიგ პოემებში („ყინვა წითელცხვირა“, „საღდათის დედა ირინა“, „ვინ ცხოვრობს რუსეთში კარგად“) იძლევა რუსეთის ხალხის მწარე ცხოვრების შემადრწუნებელ სურათებს. იგი იყო ძველი რუსეთის მშრომელი ხალხის ყოფის ნიჭიერი ამსახველი. „მე მოწოდებული ვიყავი იმისათვის, რათა ამეწერა, განსაცვიფრებელი მოთმინების მქონე ხალხო, შენი უსაზღვრო ტანჯვა“ — მიმართავდა ნეკრასოვი ხალხს. თავის შემოქმედებაში ნეკრასოვი არა ერთხელ უბრუნდება ამ საკითხებს და საოცარი ოსტატობით გვიხატავს ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრის სურათებს.

ასწერდა რა რუსეთის ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას, იგი სასოწარკვეთილებამდის მაინც არ მიდიოდა, მას სწამდა, რომ ბორკილები აღრე თუ გვიან დაიმსხვრევა, რომ უსამართლობას, ბნელსა და ბოროტს აჯანყებული ხალხი მოეგლინება, ვით რისხვა ცისა.

ნეკრასოვს ძალიან უყვარდა ბავშვები. იგი ხშირად ასწერდა თავის შემოქმედებაში გლეხების ბავშვების მწარე ცხოვრებას. მთელი რიგი შესანიშნავი ლექსები და პოემები ეხება რუსი ბავშვების ცხოვრებას (მაგ. „საშა“, „ყინვა წითელცხვირა“ და სხვა).

პოეტი, ასწერდა რა რუსეთის ბავშვების მწარე ცხოვრების სურათებს, ასწავლიდა მათ ებრძოლათ მჩაგვრელების წინააღმდეგ.



რუსეთის დიდი პოეტი ნ. ა. ნეკრასოვი დაიბადა 1821 წელს დაბა იუზენში (უკრაინა), თავდაზნაურულ ოჯახში.

ბავშვობის წლების გატარება მოუხდა გრემნეოში, შემდეგ კი იაროსლავის გიმნაზიაში, სადაც სწავლის საქმე არ იყო კარგად დაყენებული და მოსწავლე ახალგაზრდობასაც საშინლად ეპყრობოდნენ. იგი ვერ ურიგდებოდა გიმნაზიის საშინელ პირობებს და თხზავდა სატირულ ლექსებს მასწავლებლებისა და სხვა მოხელეების შესახებ, რისთვისაც ნეკრასოვი გამოირიცხეს გიმნაზიიდან.

მამამისი მეფის ჯარის ოფიცერი იყო და მისი სურვილი იყო შვილიც სამხედრო სასწავლებელში შესულიყო. ამ მიზნით გააგზავნა 17 წლის ახალგაზრდა ნეკრასოვი პეტერბურგში, მაგრამ ნიკოლოზს სამხედრო სამსახური არ იზიდავდა და მამის სურვილის წინააღმდეგ შევიდა უნივერსიტეტში.

გაბრაზებულმა მამამ ყოველგვარი დახმარება მოუსპო ნიკოლოზს და უპატრონოდ დატოვა ვეებერთელა სატანტო ქალაქში.

სწავლის საშინელ პირობებთან ერთად, ნეკრასოვი იწყებს ბრძოლას არსებობისათვის. მომავალი დიდი პოეტი მათხოვარივით დაიარება.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო ნეკრასოვი, რომ კარგად ხედავდა ცხოვრების იმ არაადამიანურ პირობებს, რომელშიაც უხდებოდა ყოფნა გლეხობას მთელს ბატონყმურ რუსეთში.

პეტერბურგში გატარებულმა გაჭირვების წლებმა დიდი გავლენა მოახდინა ნეკრასოვზე. მან უფრო ღრმად შეიგრძნო რუსეთის ცხოვრების უკუღმართობა და უფრო პროტესტანტული გახდა.



# მოსწავლე

აბა გასწი, გეთაყვანე,  
წინ ქვიშაა და ნაძვნარი,  
ამო, დაჯექ, მეგობარო,  
მოწყენილი გზები არი.

ფეხშიშველი, ჭუჭყიანი,  
მკერდი ძონძით დაფარული,  
სასახელო გზაზე დგახარ,  
ნუ გრცხვენია სიარული.

სასწავლებლად წამოსულხარ,  
ჩანთაში გაქვს წიგნი, ვხედავ,  
ვიცი, თავის ბიჭუნასთვის  
მოიფხიკა ჯიბე დედამ.

ან მოხუცმა მეზობელმა  
გაგატანა გროში ფული,  
ჩავლილ ვაჭრის ცოლისაგან  
გასამრჯელოდ მიღებული.

ან შინაყმა იქნებ იყავ,  
დაგიბოხოვეს—ხდება ასეც,  
ნუ შეკრთები, არა გიშავს,  
შენივ სწავლა დაგათავებს.

და გაიგებ—არხანგელსკით  
წამოსული რუსი გლეხი  
როგორ გახდა თავის ნებით  
გონიერი და უტეხი.

გავიყოლებს ვინმე მოსკოვს,  
ხდება კეთილ ხალხის ნება,  
ჟნივერსტეტს ესტუმრები  
და სიზმარი ავიხდება.

ასპარეზი დიდი გელის,  
სწავლა, შრომა შეიყვარე,

აი, მეც რათ შემიყვარდი,  
მშობლიურო ჩემო მხარეც.

არ მომკვდარა ის ბუნება,  
ჩანს, გაიტანს კიდევ ლელოს,  
ხალხიდან ვინც გამოიყვანს  
ამდენ კარგს და სასახელოს,

ამდენ კეთილს, კეთილშობილს,  
მოყვარული გულით ძლიერს,  
ჩლუნგ-მედიდურ-სულელთ შორის  
გამოარჩევს გულისხმიერს.

თარგმანი მაყვალა მრევლიშვილისა.





# შუმერელი ბიჭი

ბიჭიკო არის ავად,  
 სიკვდილი უზის თავთან,  
 გაზომეთ დედის დარდი...  
 მიწა მოელის ზამთარს.  
 ხეებს ფოთლები სცვივა,  
 მათ აღარ ჰყოფნის სისხლი...  
 ღამეა... სოფელს სძინავს,  
 შუმერლას ფარავს ნისლი...  
 კვდება ბიჭიკო კარგი,  
 მშობლის იმედი, ღხენა;  
 გაზომეთ მამის დარდი —  
 გულს ტყვიასავით ხვდება.  
 იგი უცქერის ყმაწვილს:  
 როგორ ფითრდება, დახე!  
 ფერი ედება ნაცრის  
 მის აღერსიან სახეს...  
 თითქოსდა უკვე ქრება  
 ნორჩი თვალების ალი;  
 თითქოსდა იყინება  
 ქორფა სხეულის ძვალი...  
 ექიმი სანაქებო,  
 ოხვრით ჩაიქნევს ხელებს;  
 ხსნა უნდა საგანგებო  
 შორი შუმერლას ხმელეთს;



ისეთი შველა უნდა,  
 იქ რომ არ არის ჯერა,  
 საქმე მძიმეა, თუმცა  
 ექიმს ხსნა აღარ სჯერა.  
 მამა გამოდის გზაზე,  
 მიდის დაღლილი ბიჯით;  
 ზანტად გააღებს სარკმელს  
 ტელეგრაფისტი დინჯი.  
 მღელვარე მამა დასწერს:  
 „მოსკოვი  
 კრემლი.  
 სტალინს“.  
 დეპეშა ისე გასწევს,  
 როგორც გასტვენა ქარის...  
 მიქრის და მთა ველს ჩასწვდა  
 ამბავი სევდიანი;  
 ტყეებში ხეებს დასწვავს  
 მისი ხმა ცეცხლიანი!  
 დეპეშა რეკავს კრემლში,  
 და მას ღებულობს სტალინ;  
 მამის ნაღველი ოხვრით  
 მის გულს დაძაბავს წამით...  
 სიკვდილი კვლავ ზის ბავშვთან  
 და მის ძალღონეს ზომავს,  
 იგი ზეიმობს და თან  
 ბიჭს უკვე აღარ ზოგავს!  
 მან ჯერ არ იცის, სტალინ —  
 სიკვდილის ძღვევას ნიშნავს!  
 მან ჯერ არ იცის, სტალინ —  
 ჩვენთვის სიცოცხლეს ნიშნავს!



ის თითქო არც ემჩნევა  
 საბჭოთა ქვეყნის რუკას,  
 ცხოვრობს და იფურჩქნება,  
 ღღედაღამ შრომა უყვარს.



არ დააყოვნებს წუთსაც,  
 სტალინ ბრძანებას გასცემს;  
 ტელეგრაფისტიც უცბათ,  
 დელვით დეპეშას აძლევს...  
 მექანიკოსნი სწრაფად  
 მფრინავებს აღვიძებენ,  
 ჯერ კიდევ ღამით, კაზანს,  
 პროფესორს ჩაისვამენ...  
 და ეკიპაჟი ფრინავს, —  
 მიქრის ღრუბლების ზემოთ;  
 დიდი მეგობრის მიძღვნა  
 შუმერლას თავზე მზეობს!  
 ხმა უკვე ახლოს ისმის,  
 მოტორი უმღერს ზეცას,  
 ვამა სახვედრად მირბის,



სიკვდილი კუთხეს ეცა!  
 შემოდის პროფესორი  
 და მკლავებს იკაპიწებს,  
 არის საათის ორი,  
 ბიჭიკო პირაღმით წევს...  
 მოწყალების დას ეტყვის:  
 „ხელსაწყო რიგზე გეღოთ“,




მშობლებს მიმართავს, თხოვნით;  
 „ტირილი არ წაგაბედოთ!“  
 მარჯვე მოხუცი წამში  
 სიკვდილთან ბრძოლას იწყებს;  
 ტკბილად იძინებს ბავშვი,  
 სიკვდილი უკან იხევს!  
 აი, სტალინის გული,  
 მისი ცხოვრების საქმე:  
 ვის მამასავით უფლის  
 ვის გმირობისთვის აქებს!  
 იმას მივყავართ დიად  
 ბედნიერების გზაზე,  
 ის მიუძღვება დინჯად  
 საბჭოთა ქვეყნის ხალხებს!  
 მიმართულებას აძლევს  
 მფრინავებს, ღრუბელ-ქარში,  
 სიცოცხლეს უნარჩუნებს  
 ბიჭიკოს, შუმერლაში.

თარგმანი გრ. ცხველიანისა





# ბრძოლის და მურად-ბაის



## ბრძოლა

(წიგნიდან „ეგვიპტელები“)

საუკუნეების მანძილზე, არსებობისათვის ბრძოლაში, ბევრი ძლიერი და კულტურული ერი დაიღუპა ან დაკარგა თავისი სახე, მტრების მიერ ან სრულიად განადგურდნენ, ანდა გაითქვიფნენ სხვა ერებში. ოდესღაც მათ არსებობას მხოლოდ ისტორიის საშუალებითა ვგებულობთ. ასეთი მწარე ხვედრი ხვდა წილად სახელგანთქმულ ერს — ეგვიპტელებსაც.

ეგვიპტე მრავალი საუკუნის მანძილზე მტრების სათარეშო მოედნად იყო გადაქცეული და ხელიდან ხელში გადადიოდა...

ათას ორას ორმოც წელს <sup>1)</sup> არაბეთის მმართველის-ხალიფის მოადგილემ ეგვიპტეში, ე. წ. „ეგვიპტის სულთანმა“ ნეჯე-ედიმმა განიზრახა განსაკუთრებული ჯარის შედგენა, რომელიც უზრუნველყოფდა სახელმწიფოს მტრების თავდასხმისაგან. ამ მიზნით მან შეისყიდა თორმეტი ათასი ახალგაზრდა მონა. ეს მონები სხვადასხვა ეროვნებებს ეკუთვნოდნენ, მათ რიცხვში ბევრი ქართველიც ერია.

სულთანმა დაიწყო მათი გაწვრთნა და ჩინებულად შეასწავლა სამხედრო ხელოვნება. რამდენიმე წლის შემდეგ მას უკვე ჰყავდა ძალიან გულადი მეომრები, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ გარეშე მტრებს. მათ მამელუკები <sup>2)</sup> დაარქვეს.

მამელუკები უთვისტომო ხალხი იყო, ბავშვობის დროს ძალით მოტაცებულნი, მოწყვეტილნი მშობლიურ კერას, დედის აღერსს, ბევრმა არც კი იცოდა ვინ იყო ან სადაური, იცოდა მხოლოდ, რომ ის იყო მამელუკი, ერტყა ხმალი და მოწოდებული იყო ბრძოლისა და ვაჟკაცობისათვის.

მამელუკების სულიერ განცდას და საბრძოლო განწყობილებას საუცხოოდ გადმოგვცემს მწერალი თათარიშვილი (უიარაღო) <sup>3)</sup> თავის მშვენიერ მოთხრობა „მამელუკში“. „...ზღაზენით მოგორავს ნილოსი, მიაქვს ქვევით ჩვენი ამბები, რომ განუზომელ ზღვას და იქიდან მთელ ქვეყანას ამცნოს და გაა-

გებინოს ჩვენი სიმტკიცე, ჩვენი ერთობა და უკენი შეუდრეკელი გამბედაობა. სხვა რაღა უნდა მიქოს ნილოსმა: პაპას ვერ მიქებს დიდებულს და პაპის პაპას ჩინებულს. მე არც კი ვიცი ვინა ვარ, სადაური ვარ. მხოლოდ ვიცი მამელუკი ვარ! ხმალი ჩემი — დედ-მამაა ჩემი. მკლავი ჩემი — სიმტკიცეა ჩემი!“...

მამელუკებს ხშირად უხდებოდათ გარეშე მტრებთან შეჯახება და ბრძოლიდან მუდამ გამარჯვებულნი გამოდიოდნენ. აფრიკის მრავალი ტომი დაამარცხეს და აურიცხავი სამხედრო ნადავლი წამოიღეს. სულთანის მათ ანებივრებდა, ეფერებოდა და მეზობელი ტომების აწიოკებაზე აქეზებდა.

რაც დრო გადიოდა, მამელუკები უფროდაუფრო ძლიერდებოდნენ, და მათ სულთანის ხელისუფლებასაც საფრთხე შეუქმნეს. მამელუკები თანდათან გაერკვნენ მდგომარეობაში და დაინახეს, რომ ძალა და იარაღი მათ ხელში იყო, აკლდათ მხოლოდ ბატონობა. ამისათვის კი საჭირო იყო ჯერ გზის გაწმენდა, სულთანის თავიდან მოშორება. ჩქარა თავისი განზრახვა კიდევ შეასრულეს: აუჯანყდნენ სულთანს, მოჰკლეს და მის ადგილზე თავისი ამხანაგი აირჩიეს, რომელმაც დიდი უფლებები მიანიჭა მამელუკებს და ნება დართო თავისუფლად ეთარეშათ ეგვიპტეში.

მამელუკები ეგვიპტეს ისე უყურებდნენ, როგორც დაპყრობილ ქვეყანას, და არაბების მსგავსად ავიწროვებდნენ მშვიდობიან მოსახლეობას. მხოლოდ ერთადერთი მიზანი ამოძრავებდა მათ: რაც შეიძლებოდა მეტი სიმდიდრე შეეძინათ და განცხრობითა და ლაღად ეცხოვრათ. დაუსრულებელმა ბრძოლებმა და სისხლის ღვრამ მამელუკების გონება გაყინა, ადამიანური გრძობები წაართვა...

მამელუკებმა რამდენჯერმე დაიპყრეს და დაკარგეს არაბეთი და ასურეთი. ოცდაათი ათასი მამელუკი მუდამ საბრძოლველად იყო გამზადებული...

ექვსასი წელი გმინავდა ეგვიპტე მამელუკების ხელში. (სამას წელს დამოუკიდებლად მართავდნენ, სამას წელს კი თურქებთან შეთანხმებით). ამ ხნის განმავლობაში ქვეყანა არასოდეს არ ყოფილა მშვიდობიან მდგომარეობაში. ბოლოს ისტორიამ მამე-

<sup>1)</sup> მაშინ ეგვიპტეში არაბები ბატონობდნენ.

<sup>2)</sup> სახელწოდება „მამელუკი“ წარმოდგება არაბული სიტყვიდან მამელიკიდან, რაც ნიშნავს მონას.

<sup>3)</sup> ფსევდონიმი.



ლუკები სახელოვანი სარდლის ნაპოლეონ ბონაპარტეს ჯარს შეაჯახა.

შუა ეგვიპტეში არის ერთი ვაკე, ქვიშიანი ადგილი, რომელსაც გიზები ეწოდება. ოდესღაც აქ მდებარეობდა ეგვიპტის უძველესი და სახელგანთქმული ქალაქი მემფისი. ბევრი ბრძოლისა და უბედურობის მოწამეა ეს ადგილი, ბევრი სისხლი და ცრემლი შეუშრია, ბევრი უსარგებლო შრომა დაუხარჯავს ამ ადგილს. ეგვიპტის ფარაონებმა თავისი სისასტიკის წარუშლელი კვალი დატოვეს აქ, რათა შემდეგ მათი სახელი ხალხს წყევლითა და კრულვით მოეხსენებინა... ამ ვაკეზე სამოცდაათი კილომეტრის მანძილზე გაჭიმულა ასამდე ფარაონის პირამიდები (სასაფლაოები). ეს პირამიდები ზოგი ძალიან დიდია, ზოგი კი პატარა, მაგრამ მათ შორის ღირსშესანიშნავია თავისი სიდიდით სამი. ეს პირამიდები ეგვიპტეში აღმოჩნდნენ სამ ფარაონს: ხეოპსს, ხეფრენს და მიკერინოსს<sup>1)</sup>.

ხეოპსი და ხეფრენი ძმები იყვნენ, მიკერინოსი კი პირველის შვილი იყო. მეფობდნენ დაახლოვებით ხუთათასი წლის წინათ. მათი პირამიდებიც ხუთათას წელს ითვლიან და ვერაფრითარ ძალას ისინი ადგილიდან ვერ დაუძრავს, თუმცა ბევრს განუზრახავს მათი დანგრევა.


არაბებმა ამ პირამიდებზე მოსწრებული ანდაზა შეთხზეს: „ყველა საგანს ეშინია დროსი, მაგრამ დროსი კი ეშინია პირამიდების“. და მართლაც, დროს ვერა-

ფერი დაუკლია ამ ბუმბერაზებისათვის, — საუკუნეები გადმოულახავთ და ჩვენამდის უვნებლად მოუღწევიან. აი, ეს პირამიდები ერთხელ კიდევ გახდნენ მთის მენი საშინელი სისხლის ღვრისა. 1799 წელს, სეფტის ნგეთის ახალგაზრდა გენერალი ნაპოლეონ ბონაპარტე ჯარით მოადგა ეგვიპტეს და დედაქალაქს საფრთხე შეუქმნა. ნაპოლეონს საფრანგეთის ბურჟუაზიისაგან დავალებული ჰქონდა დაეპყრო ეგვიპტე და კოლონიად გადაექცია... მამელუკები და თურქები ქალაქ ქაირის დასაცავად სასწრაფოდ სამრად მოემზადნენ. ფრანგების წინააღმდეგ გამოვიდნენ ათათასი მამაკაცი მამელუკი და ოციათასი თურქი ორმოცი ქვემევით. საბრძოლო ასპარეზად ვაკე გიზები აირჩიეს და დიდი პირამიდების მიდამოებში ჩაასაფრეს ჯარი.

მამელუკებს მაშინ წინამძღოლობდა მურად-ბეი, კაცი ლომგული და ბრძოლაში შეუპოვარი. მურად-ბეიმ მამელუკები ორად გაყო. შვიდიათასი თავისი სარდლობის ქვეშ დააყენა, სამიათასი კი თავის მარჯვენა ხელს, მამაც ორუჩ-ბეის ჩააბარა, მხურვალედ გადაკოცნა და გაამხნევა: აბა, ორუჩ, შენ იცი, როგორ მასახელებო.

ბრძოლის წინ ნაპოლეონმა გასამხნევებელი სიტყვით მიმართა ჯარს:

— ჯარისკაცნო! დაიწყო ნაპოლეონმა, — თქვენ მიდინართ ეგვიპტელების შემვიწროებლების წინააღმდეგ! გახსოვდეთ, — და ნაპოლეონმა დიდი პირამი-



[ვაკე გიზები და დიდი პირამიდები.]

<sup>1)</sup> ხეოპსის პირამიდის სიმაღლე 147 მეტრს უდრის, სიგანე—233; ხეფრენისა—138 მეტრს, სიგანე—215 მ., მიკერინოსისა—66 მ., სიგანე—108. მეტრს.



დებისაკენ ხელი გაიშვირა,—რომ ამ პირამიდების მწვერვალებიდან ორმოცი საუკუნე დაგყურებთ თქვენ! სიკვდილი მოძალადეებს!

— სიკვდილი მოძალადეებს! — შესძახა ერთხმად ჯარმა:

თავის მხრივ მურად-ბეიმაც მამელუკებს ჩამო-  
უარა.

— მამაცნო მამელუკნო! — მიმართა მან სმენაგამა-  
ხვილებულ მამელუკებს. — ექვსასი წელია ჩვენა  
ვართ ბატონ-პატრონი ეგვიპტის მიწაწყლისა! ვის შე-  
უძლია ძალით გამოჰგლიჯოს მამაც მამელუკებს სი-  
სხლით მონაპოვარი! — და მურად-ბეიმ ბრილიანტე-  
ბით მოკვდილი ოქროსტარიანი ხმალი ჰაერში შეა-  
თამაშა.

— არავის! — შესძახეს მამელუკებმა და თავის  
მხრივ ხმლები იშიშვლეს. მურად-ბეიმ მრისხანედ  
გაიშვირა ხელი ფრანგებისაკენ:


— აი, ესენი აპირებენ ჩვენს დამხობას, რომ  
თვით გაბატონდნენ! გესმით, მამელუკნო, რომ  
თვით გაბატონდნენ! სიკვდილი მათ!

— სიკვდილი მათ! — შეჰღრიალეს სისხლმოწყუ-  
რებულმა მამელუკებმა. ნაპოლეონმა კაცი გამოგზა-  
ვნა და შემოუთვალა: ტყუილბრალოდ სისხლს ნუ  
დამადვრევენებთ, თუ დამმორჩილებით, თავისუფ-  
ლებას გაჩუქებთ და სამსახურსაც მოგცემთო. ამაზე  
გაბრაზებულმა მურად-ბეიმ შეუთვალა: „მამელუკებს  
არ სჩვევიათ მტრის წინაშე იარაღის დაყრა და ქე-  
ლის მოხრა! ალბათ, არ გსმენია ჩვენი სახელი, თო-  
რემ მაგვარ სიტყვებს როგორ გახედავდი!“

ბრძოლისათვის მზადებას შეუდგნენ.

მურად-ბეიმ განიზრახა ზურგიდან უეცარი დარ-  
ტყვით მტრის ბანაკში არევიარევის შეტანა. ამ  
მიზნით მან ფარული გზით წაიყვანა შვიდიათასი  
მამელუკი საუცხოვო არაბული ცხენებით და ხუთი-  
ათასი რჩეული თურქი. დანარჩენი თხუთმეტიათასი  
თურქი, როგორც კი მტრის ბანაკში არევიარევის  
შეამჩნევდნენ, ქვემეხების დახმარებით უნდა გადა-  
სულიყო შეტევაზე. ორუხ-ბეის მტრისათვის მარც-  
ხენა ფრთიდან უნდა დაერტყა. მურად-ბეის საბრ-  
ძოლო გეგმა კარგად ჰქონდა მოფიქრებული, მაგრამ  
რა იცოდა, რომ მისი მოწინააღმდეგე სამხედრო  
საქმის გენია იყო... და, აი, მამელუკების ამ საბე-  
ლისწერო დღეს, 22 ივლისს, ნაშუადღევს 2 სა-  
ათზე, მურად-ბეის ნახევარი გზა არცკი ჰქონდა გავ-  
ლილი, რომ ბორცვებს იქით ფრანგების ცხენოსანთა  
დიდი რაზმი შეამჩნია, რომელიც მისკენ მოდიოდა.

— მამელუკნო, წინ!! — დაიღრიალა მურად-ბეიმ  
და ხმალამოწვდილმა ცხენს ქუსლი შემოჰკრა. ტყვი-  
ასავით მოწყდნენ მამელუკები ადგილიდან და  
მტრისაკენ ცხენები გააფრინეს. მოულოდნელად ფრან-  
გებმა ცხენები მიაბრუნეს და გაიქცნენ. მამელუკე-  
ბი გაქცეულებს უკან დაედევნენ, მაგრამ ჩასაფრე-  
ბული მტრის ალყაში კი მოემწყვდნენ. ჩამორჩენილ  
თურქებს მამელუკებისკენ გზა გადაუჭრეს და სხვა  
მხარეს მოიწყვდიეს. მურად-ბეი მიხვდა, რომ მტე-  
რმა განგებ შემოიტყუილა და რკალში მოამწყვდილა,



ფარაონ ხეფრენი

მაგრამ მურადი ისეთი კაცი არ იყო, რომ შეშინე-  
ბოდა, მამელუკები გაამხნევა და მტერს შედგრად  
შეუტია.

შეუბოვრად იბრძოდნენ მკლავმაგარი მამელუკე-  
ბი, მტერს მარჯვნივ და მარცხნივ კაფავდნენ, მა-  
გრამ მათი რიცხვი თანდათან მცირდებოდა...

როდესაც მურად-ბეი მოულოდნელად ასეთ გან-  
საცდელში ჩავარდა და მტრის რკალში მოემწყვდა,  
ნაპოლეონის ქვემეხებმა თურქების ჩასაფრებული ჯა-  
რი და ორუხ-ბეის რაზმი ააფორიაქა. საპასუხოდ თურ-  
ქების ორმოცმა ქვემეხმა დაიჭეჭა. თურქებმა აღარ  
დააყოვნეს და ალახის ღრიალით და ქვემეხების ცე-  
ცხლის დახმარებით იერიშზე გადავიდნენ. ორუხ-  
ბეიმაც თავისი რაზმით მტერს მარცხენა ფრთიდან  
გამალებით შემოუტია. გამოცდილმა ორუხმა იგრძ-  
ნო, რომ მტერმა მათი საომარი გეგმა ჩაშალა, მა-  
გრამ დაყოვნება აღარ შეიძლებოდა, მურად-ბეის  
დროზე უნდა მიშველებოდა, მაგრამ ვიდრე მტერს  
მიუახლოვდებოდა, მისი რაზმი და თურქების ჯარი  
ფრანგების ქვემეხებმა გაანადგურა. ხუთი საათი  
გრძელდებოდა სასტიკი ხელჩართული ბრძოლა.  
ბრძოლის ველი მეტბრძოლთა გვამებით მოიფინა. თურ-  
ქები და მამაცი მამელუკები უძლურნი აღმოჩნდნენ  
ფრანგების სამხედრო ხელოვნების წინაშე.

მცირე რაზმით დარჩენილი ორუხ-ბეი მტერს  
მამაცად იგერიებდა, მურად-ბეის დაეძებდა და მის  
სახელს ხმამაღლა გაჰყვიროდა.

რვა ადგილას დაჭრილი მურად-ბეი ბრძოლით  
გზას იკაფავდა და მტრის რკალის გარღვევას ლა-  
მობდა. საკუთარი ხელით მოუკლა ნაპოლეონს ხუთი  
ოფიცერი, ჯარისკაცებს ხომ თვლა არ ჰქონდა, ბე-  
ვრჯერ შეეცადა რკალის გარღვევას, მაგრამ არ იქ-  
ნა, ვერ შესძლო, და ბრაზმორეული ლომივითა ქუ-  
ხდა. ელვასავით სწრაფი მისი არაბული ცხენი ჯა-  
რისკაცთა შორის დაჰქროდა და ტორებით პატრონს  
მტერთან ბრძოლაში ეჯიბრებოდა. გააფთრებული  
მურად-ბეი თავის უახლოეს მეგობარს, ორუხს დაე-





ძებდა ბრძოლის ველზე. მოულოდნელად რკალში ვეფხვივით შემოიჭრა ორუხი.

— ჩემკენ, მურად, ჩემკენ! მადლი ალახს, რომ ცოცხალს გხედავ!—მოაძახა ორუხ-ბეიმ და კვლავ მტერს მიუტრიალდა ხმალამოწვდილი. მისი მამულუკები მტრის მოვარდნილ ტალღას მედგრად აჩერებდნენ და წინამძღოლთ გასასვლელ გზას უკაფავდნენ.

შეერთებული ძალებით, როგორც იქნა, მურად-ბეიმ და ორუხ-ბეიმ მტრის რკალი გაარღვიეს და თავს უშველეს.

მაგრამ სწორედ იმ დროს, როდესაც მტრის რკალიდან განთავისუფლებულ მურად-ბეის ორუხ-ბეი მხარდამხარ მისდევდა და მამულუკებთან ერთად სამშვიდობოსკენ ცხენებს მიაჭროლებდნენ, მტრის ტყვიამ ორუხს მარცხენა ბეჭში გაუარა. უცნაურმა ხრიალმა მურად-ბეი გვერდზე მიახედა და ორუხ-ბეის სახეში შეხედა. შეხედა და დაინახა, რომ მისი საყვარელი ორუხი ამ ქვეყნისა აღარ იყო. თავზარდაცემულმა ორუხს ხელი შეაშველა, რომ ცხენიდან

არ გადმოვარდნილიყო, და აყვირდა:


— ვალაჰ!! ორუხ! ძმაო, მარტო მტოვებ! ვაი ჩემ თავს!—და მურად-ბეიმ შუბლში ხელი შემოირტყა და ბავშვივით ატირდა.

მამულუკებმა ერთმანეთს გადასძახეს, აქაფებული ცხენები შეაჩერეს, ჩალმები მოიხადეს, წინამძღოლს გზა მისცეს და დააწინაურეს...

და როდესაც მზემ თავისი ოქროს სხივები პირამიდების მწვერვალებს უკანასკნელად შესტყორცნა და ლივიის მთებს იქით ჩაესვენა, დაჭრილი და დამარცხებული სახელგანთქმული მამულუკი მურად-ბეი ბრძოლის ველიდან მიჰქროდა. მიჰქროდა და მკლავებში თავისი სიყრმის მეგობრის ორუხის უსიცოცხლო გვამი ესვენა, გული კი ბოლმით ევსებოდა.

წინამძღოლს ჩალმებმოხდილი და თავებდახრილი მისდევდა ოთხიათას ხუთასი მამულუკი. ათიათასი მამულუკიდან მხოლოდ ამდენი გადარჩა.

გამარჯვებულ ნაპოლეონს ეგვიპტის დედაქალაქი ქაირი მეორე დღეს უბრძოლველად დამორჩილდა.







იქედნე (ანუ ექიდნა) ცხოვრობს შორეულ ქვეყანაში, ახალ გვინეასა, ავსტრალიასა და ტასმანიასში. სოროს, თავის თანამომე იხეცხვირასთან განსხვავებით, მაღლობიან უღრან ტყეებში იკეთებს, დღისით თვლემს, ღამით მიწიდან ამოდის და დაუღალავად დაეხეტება სანადიროდ.

იქედნეს ფრინველის თავი, ზღარბის ტანი და უცნაურად მძლავრბრქვალეებიანი ფეხები აქვს, ტანი კი ფერადი, ეკლებივით მაგარი ჯაგრით აქვს შემოსილი. ნისკარტი მილაკს მიუვავს. ეს საოცარი ქმნილება დაუნდობელი მტერია ქიანჭველებისა, ბუზანკალებისა, ქიანულებისა და სხვა წვრილი მწერებისა.

ფრიად საყურადღებოა მისი ამოხრებელ-დამარბეველი თარეში ცხრაფეხათა სამყოფელოში. ეს უკანასკნელები ბუდეს თიხისაგან აშენებენ ნახევარი მეტრის სიმაღლეზე, ბორცვის მსგავსად. იქედნე როგორც კი შენიშნავს ასეთ „ბორცვებს“, მყისვე გვერდიდან იჭრება ცხრაფეხათა სადგომში და დაუნდობლად ნთქავს პატარა მწერებს, შემდეგ კი რატომღაც მიწასთან ასწორებს გაჟღეტილთა საცხოვრებელს. მიუხედავად ამ სიმკაცრისა, იქედნე მაინც მზდალ, საცოდავ ცხოველად ითვლება. მას უმნიშვნელო ხმაურიც კი სასაცილოდ აკრთობს, თავზარსა სცემს, უმაღვე აძებნიებს ბუნავს, სოროდან მისი ამოთრევა კი ძლიერ საძნელო საქმეა: საშინლად აბუძვული ძალუმად ეკვრის ბუნავის კედლებს, ღრუტუნობს. ანჩხლობს, ენანება სიცოცხლის დათმობა. ავსტრალიელებს ძლიერ უყვართ მისი დაჭერა, კლავენ მას, მისვე ქონში ხრაკავენ და სიამოვნებით შეექცევიან. იქედნეს ძლიერ მტრობენ აგრეთვე ე. წ. ჩანთოსანი მგლები.

ევროპელები ამ ცხოველებს მხოლოდ ზოობარკებისათვის იძენენ.


იქედნე ადვილად ეჩვევა ადამიანს, ხალისით დასდევს, ახალისებს ადამიანის მიერ თავზე ხელის გადასმა და ალერსი.

იქედნე კვერცხით მრავლდება, თავისუფლად იტანს შიმშილსა და წყურვილს; სიცხიან, გოლვიან ქვეყანაში მას ხშირად კვირაობით უხდება მშიერ-მწყურვალს სადმე სოროში გდება. იქედნემ კარგად იცის, რომ მას მტრულ გარემოცვაში უხდება ცხოვრება, ამიტომ ძლიერ იშვიათად ამოდის საზრდოს საძებნელად. მცირე გაუფრთხილებლობა და დაუდევრობა მას უღმობელ სიკვდილს უმზადებს.

ვლ. კახიანი







## გოგონა კოდხილის ბაღში

წინათ იყავ პაწაწინა,  
ლოფორთქინას ხელა,  
ძველ ფაცხაში გქონდა ბინა,  
საბნად—ნაჭრის ძველა.

მამაშენი ღორს მწყესავდა,  
სხვისი იყო ყველა,  
დედაშენი ჭილას წნავდა  
ფაცხის დასაგველად.

ფეხქვეშ გედგა კენჭყო მიწა,  
ქარი გლეჯდა ჩინარს,  
დედა წუხდა — რატომ „ციცა“  
გშობა, გაგაჩინა.

დღეს გაზრდილხარ ამოდენა  
გოგო — სოფლის თვალი,

მოგდგამს შნო და სიამაყე  
კოლხიდელი ქალის.

ფორთოხლებით ავივსია  
განიერი კალთა,  
შენს თვალებში მინდვრის ჩიტებს  
ლხინი გაუმართავთ.

დედაშენი კოლექტივში  
პირველობას ჩემობს,  
ნათაცხარზე მანდარინებს  
გაუშლია ჩერო.

მამაშენი მებაღეა,  
შრომის ჯილდოს ელის,  
დღეს შენს გულში ზღვაც ღელავს და  
ნარინჯების ველიც.

ლილია მებრელიძე.

## კასუსები „პიონერის“ № 12-ში მოთავსებულ კრუსპორდზე:

სიტყვები ჰორიზონტალურად:

2. ასმათი, 4. პეტრენკო, 5. სოსლანი, 6. ანი,  
7. თინათინი, 8. აფორიზმი, 11. მიჯნური,  
13. ტარიელი, 15. დანტე, 16. რუსთავი, 17.  
ქაჯეთი, 19. ავთანდილი, 22. ვახტანგი, 23.  
ლვისტი, 24. არაბეთი, 25. ნიზამი, 24. დავარი,  
29. ბალმონტი. 30. ჩაუქი.

სიტყვები ვერტიკალურად:

1. შებთელი. 3. რითმა. 7. თამარი. 9. ფრი-  
დონი. 10. ბელა. 12. რენესანსი. 14. რუსთა-  
ველი 18. როსტევანი. 19. არაყიშვილი. 20.  
რაინდი. 21. დარეჯანი. 26. შაირი 27. ზიჩი.





ს ც ა რ ე თ


თქვენ წინ კვადრატია, უჯრედებში მოთავსებულია ციფრები. ამ ციფრების წყალობით ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ კრიზებში, აგრეთვე დიაგონალურ სწრაფად სხვადასხვა. მაგრამ თუ ამ კვადრატს გასწვრივ მთხ ნაწილად და ამ ნაწილას დააღებთ სხვა წესით, თქვენ მიიღებთ კვადრატს, რომლის ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ კრიზებში მოთავსებული ციფრების წყალობით დიაგონალურ სწრაფად ციფრების წყალობით თანასწორი იქნება. წყალობით უდრის 34-ს.

1	15	5	12
8	10	4	9
11	6	16	2
14	3	13	7

სცადეთ!

რომ უზრუნველ გარეგანი არ დასწრათ, ასეთი კვადრატით თქვენ თვითონ გადასწრეთ, ციფრები ჩასვით ისევე, როგორც ამ არის ნაჩვენები.

თამაში ასანთის ღებებით



2. აიღეთ ცხრა ასანთის ღერი და დააღებთ ისე, რომ მიიღოთ ოცდათექვსმეტი.



1. დააღებთ 15 ასანთის ღერი ისე, როგორც ამ არის ნაჩვენები. უმღებთ აიღეთ სამი ასანთის ღერი ისე, რომ დაჩრბს სამი კვადრატით.



3. აიღეთ სამი ასანთის ღერი და დააღებთ ისე, რომ მიღოთ ექვსი, უმღებთ იგივე, სამი ასანთის ღერი დააღებთ ისე, რომ მიიღოთ ოთხი.

საოცარი ოთხკუთხედი

4. 12 ასანთის ღერი დააღებთ სამ კრიზად. უმღებთ გადასვით სამი ასანთის ღერი, ისე რომ როგორც ჰორიზონტალურ, ისე ვერტიკალურ კრიზებში იქონს ოთხი ასანთის ღერი.

უმიქლიათ თუ არა დასწრთ ი ისეთი ოთხკუთხედი, რომელსაც ერთი ვიკლავიკრი ხაზის გადასვით გაჭრეთ სამ საგუთხდათ.